



საქართველოს სსრ.



საბჭო. კონსტიტუციის



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

ოქტომბრის სასახლეთ კომისარიატის გამომცემა

1928 წ. იანვრის 31

№ 12 *

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

165. დადგენილება № 104 ც. ა. კ.—საბჭოების არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წელს.

166. დადგენილება № 105 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვასა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავეებისა და შესაბამელობის მიწოდებასთან.

167. დადგენილება № 106 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295 მუხ. შენიშვნის, 314 მუხლის და 324 მუხ. „ბ“ პუნქტის შეცვლის და 276, 312, 318 და 322 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ.

168. დადგენილება № 107 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შეცვლის შესახებ.

169. დადგენილება № 108 ც. ა. კ.—საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებანი.

170. დადგენილება ს. კ. ს. — მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ოპერატიულ მუშაობაში სხვადასხვა დაწესებულების კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობის შესახებ.

* ამ ნომერში დაბეჭდილია 1927 წ. დეკემბრის კანონები.

171. დადგენილება ს. კ. ს.—ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მექანდაკეებისა, მათი შვილებისა და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილების სასწავლებელში მიღების სფეროში მუშათა შვილებთან გათანასწოების შესახებ.

172. დადგენილება ს. კ. ს.—„საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს სავალდებულო გამოწერის შესახებ.

173. დადგენილება ს. კ. ს.—იმ კანონების შესახებ, რომელთაც დაკარგეს ძალა ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ სამოქმედოდ შექოლების გამო.

174. დადგენილება ს. კ. ს.—სათეატრო-საესტრადო რეპერტუარის განხილვისა და დამტკიცებისა და მისი აღარულებისათვის მეთავაყურეობის გაწევის შესახებ.

175. დადგენილება ს. კ. ს.—წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასების დაკლებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ.

176. დადგენილება ს. კ. ს.—ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

176. დადგენილება ს. კ. ს.—ვინაობის მოწმობის შესახებ.

სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

165. დადგენილება № 104 ც. ა. კ

საბჭოების არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წელს.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის 65 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს 1928 წელს სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოებისა, აგრეთვე სათემო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, ქალაქ ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის, ნოკაეშირე აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის, აჭარის-ტანის ავტ. ს. ს. რ. და სამხრეთ-ოსეთას ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნება.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები უნდა შეუდგენ 1927 წლის 20 დეკემბრიდან, ხოლო სასოფლო, თემის და ქალაქების საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1928 წლის 1-ლ მარტიდან 1-ლ აპრილამდე.



3. მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობები და საბჭოთა სამაზრო ყრილობები მოწვეულ უნდა იქნენ 1928 წლის 1 აპრილიდან 15 აპრილამდე.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნეს 1928 წლ. აპრილის მეორე ნახევარში.

შენიშვნა. არჩევნების წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ინსტრუქციით — მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. **ხ. თოდრაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 16.

ტფილისი — სასახლე.

გამოკვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-287 .№-ში 1927 წ. დეკემბრის 18.

166. დადგენილება № 105 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ, რაც დაკავშირებულია საჩხედრო ვალდებულთა აღრიცხვასა და გაწვევასთან და ჯარისათვის ცხენებისა, საზოადვეებისა და შესაბამელობის მიწოდებასთან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახლის სამოურაოს დაეკისროს შემდეგი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება:

ა) შემოწმება საალრიცხვო-სამხედრო დოკუმენტებისა წვევამდელთა და სამხედრო-ვალდებულთა ჩაწერის დროს და აგრეთვე იმის შემოწმება, აღრიცხულ არიან თუ არა აღნიშნული პირები;

ბ) ცნობის მიწოდება ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოსათვის იმ სამხედრო-ვალდებულთა შესახებ, რომელნიც ორ თვეზე მეტია, რაც თავიანთ ადგილზე არ იმყოფებიან;

გ) მეთვალყურეობა, რათა გაწვევის დროს სამხედრო-ვალდებულნი და წვევამდელნი თავის დროზე გამოცხადდნენ ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოში;

დ) შემოწმება, გაწვევის დამთავრების შემდეგ, სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა დოკუმენტებისა და გაწვევისაგან თავის ამრიდებელთა შესახებ ცნობე-

ბის გაგზავნა ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოში ან მილიციაში;

ე) შემოწმება იმისა, რომ აღებულია თუ არა სააღრიცხვო წიგნაკებოცხენებზე;

ვ) მეთვალყურეობა, რათა ხელახალი აღრიცხვის დროს გასასინჯავად გამოიყვანონ სწორედ ის ცხენები, რომლებიც გასინჯულ უნდა იქნენ, და რათა შესრულებულ იქნეს მათი მიმდინარე აღრიცხვის წესი, აგრეთვე ცნობის მიწოდება ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოსათვის იმ რეგისტრაციკმნილი ცხენების შესახებ, რომლებიც ამ რეგისტრაციიდან ამოშლილ არიან;

ზ) შემოწმება დოკუმენტებისა ჯარისათვის ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბამელობის მიწოდების შესახებ, და ცნობის გაგზავნა ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოსა ან მილიციაში ცხენებისა, საზიდავებისა და შესაბამელობის პატრონთა შესახებ, რომელნიც თავს აარიდებენ მათ მიწოდებას.

2. სახლის სამოღრაოს ფუნქციები დაეკისრება:

ა) ნაციონალიზაციაკმნილ და მუნიციპალიზაციაკმნილ სახლთმფლობელობაში როგორც ისეთში, რომლის უშუალო ექსპლოატაციასაც თვით კომუნალური ორგანო ეწევა, აგრეთვე დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოზე გაცემულ სახლთმფლობელობაშიც—სათანადო დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს;

ბ) მდგმურთა კოლექტივზე, საბინაო ამხანაგობაზე, ორგანიზაციაზე, საბინაო კოოპერაციაზე და სხვ. გაცემულ სახლთმფლობელობაში — სათანადო ორგანოს, რომელსაც, წესდების თანახმად, აირჩევს კოლექტივი;

გ) კერძო სახლთმფლობელობაში და აგრეთვე ისეთ მუნიციპალიზაციაკმნილ სახლთმფლობელობაშიც, რომელიც კერძო პირზეა იჯარით გაცემული, — სახლთმფლობელობის მოიჯარადრეს და მესაკუთრეს ან მათ კანონიერ წარმომადგენელს.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და ტერიტორიალური ნაწილების სამმართველოსთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ს. თოდრია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კო-

მისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჯულელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრა-

ლური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. დეკემბრის 15.

ტფილისი — სასახლე.



167. დადგენილება № 106 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295 მუხ. შენიშვნის, 314 მუხლის და 324 მუხ. „ბ“ პუნქტის შეცვლისა და 276, 312, 318 და 322 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სამ. სამ. კოდ. 295 მუხ. შენიშვნა, 314 მუხლი და 324 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შედეგი რედაქციით:

295 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც სრულ ამხანაგობას ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ — სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

მუხ. 314. ნდობის ამხანაგობის რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადებაში 296 მუხ. 1 შენიშვნით გათვალისწინებული ცნობების გარდა, უნდა აღინიშნოს შემტანთა სია და ყოველი მათგანის შენატანის რაოდენობა.

324 მუხ. „ბ“ პუნქტი. „საზოგადოების სახელწოდება ან ფირმა“.

II.

სამ. სამ. კოდ. 276, 312, 318 და 322 მუხ. დამატოს შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

276 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც მარტივ ამხანაგობას ეკუთვნის (რამდენსამე თანამონაწილეს), განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

312 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც ნდობის ამხანაგობას ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე 40 №-რი, მუხ. 395).

318 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას ეკუთვნის, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“ სსრკ. კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

322 მუხ. შენიშვნა. იმ საწარმოს ფირმის სარგებლობის წესი, რომელიც სააქციო საზოგადოებას (საბაიო ამხანაგობას) ეკუთვნის, განისაზღვრება

დგრება განსაკუთრებული დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“
სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. **ს. თოდრია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.

168. დადგენილება № 107 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შეცვლის
შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-
რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა-
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუ-
ბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი მიღებულ
იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 17. მხარის წარმომადგენლად სასამართლოში შეიძლება იყოს:

ა) დამცველთა კოლეგიის წევრი;

ბ) პროფესიონალური კავშირის რწმუნებული — კავშირის წევრის საქმის
გამო და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯო-
ბესებელი კომისიის რწმუნებული — მშრომელ ქალის საქმის გამო;

გ) კოლექტივის ხელმძღვანელი და მუდმივი თანამშრომელი—ამ კოლექტი-
ვის საქმის გამო;

დ) მეურვე — მის მეურვეობაში მყოფი პირის საქმის გამო;

ე) მშობელი, მეუღლე, შვილი, ღვიძლი და და ძმა;

ვ) ის, ვისაც საქმის გამრჩევი სასამართლო ამ საქმეში წარმომადგენლობის
ნებას მისცემს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. **ს. თოდრია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ-
ელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.



169. დადგენილება № 108 ც. ა. კ.

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 95 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

2. ამ დადგენილების მიღების დღიდან გაუქმებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის დეკემბრის 28-ს დამტკიცებული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

3. იმავე დროიდან ძალა დაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება № 1, 1927 წლის იანვრის 11-ის თარიღითა, კ. ტფილისისათვის საბჭოთა არჩევნების არსებული წესის ზოგიერთი გამონაკლისის შემოღების შესახებ.

4. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ეება ეძლევათ შეიტანონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ინსტრუქციაში დამატება, რაც საჭირო იქნება ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით, იმ პირობით, რომ ეს დამატება წინასწარ დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. **ხ. თოდრია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 16.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 296 № ში 1927 წ. დეკემბრის 16 და აგრეთვე გამოცემულია ც. ა. კ.-ის მიერ ცალკე ბროშურად.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

170. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ოპერატიულ მუშა-
ჯობაში სხვადასხვა დაწესებულებების კვალიფიციური სპეციალისტების მონა-
წილეობებს შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო
ადგენს:

უფლება მიეცეს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო
კომისარს ყოველ ცალკე შემთხვევაში მაიწვიოს საქართველოს სხვადასხვა დაწე-
სებულებისა და საწარმოს მაღალი კვალიფიციაციის მომუშავენი, სათანადო
დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მუშათა და
გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გამოკვლევებში მონაწილეობის
მისაღებად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 5.

ტფილისი—სასახლე.

171. დადგენილება ს. კ. ს.

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებ-სა, მექანდაკე-
ებისა, მათი შვილებისა და აკრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილე-
ბის სასწავლებელში მიღების სფეროში მუშათა შვილებთან გათანაბნობის
შესახებ.

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მექანდა-
კეებისა, მათი შვილებისა და სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებისათვის
განათლების მიღების გასაადვილებლად — საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-
თა საბჭო ადგენს:

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებს, რომლებსაც თვისადე ლიტე-
რატურული შრომა უშთავრეს საარსებო წყაროს შეადგენს, მხატვრებს, მექან-
დაკეებს, მათ შვილებს და აკრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებს
მიენიჭოს სასწავლებელში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების
შვილებს აქვთ.

სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგ. **ს. ჯუღელი.**

სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 5.

ტფილისი—სასახლე.



172. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს სავალდებულო გამოცემის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, აგრეთვე კომერციულ ანგარიშზე მოქმედ და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო საწარმოთა (ცენტრალურ სამმართველოს (მათ შორის სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა გამგეობათ) გამოიწერონ საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემი „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“.

2. ის, თუ, ამა დადგენილების 1-ლ მუხ. თანახმად, „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს რამდენი ცალის გამოწერაა სავალდებულო, განისაზღვრება შემდეგნაირად: სახალხო კომისარიატისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებისათვის — თითო ცალი ყოველი ამ ორგანოსად ვის, ხოლო ადგილობრივი ორგანოებისათვის — თითო ცალი ყოველი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის, სათემო აღმასრულებელი კომიტეტისათვის, მილიციის ყოველი სამაზრო და სარაიონო სამართველოსათვის და ყოველი სახალხო სასამართლოს და სახალხო გამომძიებლის კამერისათვის.

3. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ცენტრალურ დაწესებულებებს და აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატს სია იმ ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა და საწარმოთა, რომელნიც, ამა დადგენილების ძალით, ვალდებულ არიან გამოიწერონ „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, ხოლო შემდეგში ასეთი სიები ვაჭკავონ ხოლმე არა უკვიანეს ყოველი წლის იანვრის 1-სა.

4. „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“-ს გამოსაწერ ფასს განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ყოველი საკაღებრო წლის დასაწყისში.

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

შენ შენა. მიმდინარე 1927/1928 საბიუჯეტო წელში სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯი ამა დადგენილებით გათვალისწინებულო სავალდებულო ხელისმომწერისათვის მიკუთვნებულ იქნეს ხარჯთაღრიცხვებით საკანცელარიო საქიროებისათვის გადაღებულ თანხებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 284 №-ში 1927 წ. დეკემბრის 15.

173. დადგენილება ს. ძ. ს.

იმ კანონების შესახებ, რომელთაც დაჰქარგვს ძალა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ სამოქმედოდ შემოღების გამო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ძალა-დაქარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივლისის 22-ის თარიღისა და 28 №-რის დადგენილება „კომერციულ ანგარიშის საფუძველზე ზომიერად საქართველოს სსრ სახლმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტთა) დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ. 1924 წ. № 2).

2. დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტების) შესახებ, რომელნიც მოქმედებენ კომერციული ანგარიშის საფუძველზე (კან. კრებ. 1924 წ. № 2).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი—სასახლე.

174. დადგენილება ს. ძ. ს.

სათეატრო-სახეატრადო რეპერტუარის განხილვისა და დამტკიცებისა და მისი აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

რათა სათეატრო-საენსტრადო რეპერტუარი საესებით შესაბამებოდეს თეატრისათვის დასახულ პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ მიზანს, და რათა სათანადო ზედამხედველობა გაეწიოს ამ რეპერტუარის აღსრულებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაარსებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სახეატრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან სარეპერტუარო სამხატვრო საბჭო.

შენიშვნა. სარეპერტუარო-სახეატრო საბჭოს შედგენილობას, მისი წევრების დანიშნის წესს და აგრეთვე აღნიშნული საბჭოს მოქმედების წესს განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. ყველა სამხატვრო, სასცენო, სამუსიკო და საესტრადო ნაწარმოებს განიხილავს ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი საჩქართველო (მთავლიტი), რომელიც ნებასა რთავს ამ ნაწარმოებთა დაბეჭდვას და სცენაზე დადგმას და აგრეთვე თვალყურს ადევნებს, რათა მი'ა მიერ ნებადართული პიესები და სხვა სცენაზე დასადგმელი ნაწარმოები აღსრულებულ იქნეს მთავლიტის მიერ დადასტურებული ტექსტის მიხედვით უცვლელად.

3. მთავლიტს უფლება აქვს აკრძალოს დასადგმელად და აგრეთვე მოხსნას რეპერტუარიდან ის პიესა, რის დაბეჭდვისა და დადგმისათვისაც წინასწარ გამოთხოვილ არ იყო მთავლიტის სათანადო ნებართვა.

შენიშვნა. ისეთი პიესის დადგმისათვის, რაც აკრძალულია ან მოხსნილია რეპერტუარიდან, დამნაშავე პირი მიიციემა პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 230 მუხლისამებრ.

4. მთავლიტი შეედგენს და გამოაქვეყნებს დასადგმელად ნებადართულ და აკრძალულ პიესათა სასცენო, საესტრადო, სალიტერატურო და მუსიკალურ ნაწარმოებთა სიას.

5. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო განიხილავს მთავლიტის მიერ გამოსაქვეყნებლად ან დასადგმელად ნებადართულ ყველა პიესას, სალიტერატურო-სამუსიკო და საესტრადო ნაწარმოებს და აგრეთვე ნებართვას გასცემს ამ პიესასა და ნაწარმოების საჯარო აღსრულებისათვის.

6. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს უფლება აქვს მოხსნას რეპერტუარიდან ესა თუ ის პიესა, ან საესტრადო და სამუსიკო ნაწარმოები.

შენიშვნა. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს შეუძლიან აუკრძალოს ამა თუ იმ სათეატრო დაწესებულების ადმინისტრაციას თვის მიერვე სხვა თეატრის სცენაზე დასადგმელად ნებადართული პიესის დადგმა.

7. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს დაეკისრება მთავლიტის მიერ ნებადართულ პიესებისაგან რეპერტუარის შემუშავება.

ის ნაწარმოები, რაც ამ რეპერტუარში მოთავსებული არ არის, სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს უნებართვოდ არ შეიძლება მიღებულ იქნეს დასადგმელად ან აღსასრულებლად რესპუბლიკის ამა თუ იმ სათეატრო და სხვა სანახაობის დაწესებულებაში.

8. ადმინისტრაცია სათეატრო და სხვა სანახაობის დაწესებულებისა და ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც საჯაროდ პიესებს სდგამს და სამხატვრო და სამუსიკო ნაწარმოებებს ასრულებს, მოვალეა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, წარუდგინოს თავისი რეპერტუარი, მთავლიტის მიერ ნებადართულ პიესებისაგან შედგენილი, სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან არსებულ სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს დასამტკიცებლად.

შენიშვნა. ამა მუხლის მოთხოვნის აღუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამა დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული წესით.

9. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება

ქალაქ ტფილისში სამეცნიერო-სამზატერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს და მთავლიტს, ხოლო სხვა ადგილებში—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური განათლების ორგანოებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჯუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1927 წ. დეკემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 298 №-ში 1927 წ. დეკემბრის 31.

175. დადგენილება ს. ძ. ს.

წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასების დაკლებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წმინდა ხარისხის სათესლე მასალის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობათათვის 1927/28 წლისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათების დაწესების შესახებ“ 1927 წ. აგვისტოს 31-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წმინდადება მიეცეს წმინდა ხარისხის თესლეულობის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობებს, რომელნიც, სსრკ. სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1927 წ. აგვისტოს 31-ს თარიღის, დადგენილების თანახმად, განთავისუფლებულ არიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, შეამცირონ გლეხთა მოსახლეობაზე გასაცემი წმინდა ხარისხის სათესლე მასალის ფასები.

შენიშვნა. წმინდა ხარისხის სათესლე მასალად ჩაითვლება ისეთი თესლი, რაც გასინჯული და მოწონებულია სათანადო ორგანოს მიერ (თესლის საკონტროლო სადგურები) და თვისებით შეეფერება გასასინჯი თესლის ხარისხისათვის დაწესებულ პირობებს.

2. წმინდადება მიეცეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ საბჭოთა მეურნეობებს წმინდა ხარისხის თესლის საგასაცემო ფასების შემცირებისათვის მხედველობაში მიიღონ იმ სათესლე მასალის საერთო რაოდენობა, რაც 1927/28 წელს გვემით განზრახულია გლეხთა მოსახლეობაზე გაიცეს, და ის საერთო თანაა, რაც შესდგება აღნიშნულ წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოხსნით.

3. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

4. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან. გამოსცეს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში შეთანხმებით, ინსტრუქცია წმინდა ხარისხის სათესლე მასალის საგასაცემო ფასების გამოანგარიშების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნსტი“-ს 1 №-ში 1928 წ. იანვრის 1.

176. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულებას დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება — ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1927 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი — სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

კ ა რ ი 1.

ზოგადი დებულება

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის ოქტომბრის 10-ს თარიღისა და 48 №-რის დადგენილებისა (საქართვ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-რი, მუხ. 7) და ტყის კოდექსის მე- II კარის (5-11 მუხ.) თანახმად გადაცემულია მშრომე-



ლი მიწათმოქმედი მოსახლეობის სარგებლობაში, შეადგენს ერთიანი სახელმწიფო სატყეო ფონდის ნაწილს და მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას (ტყის კოდექსის 1 და 4 მუხ.).

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები უნდა დარჩეს იმ სივრცით და იმ საზღვრებში, როგორც იგი გადაეცა ტყის მოსარგებლეთ. ტყის გაწმენდა და სხვაგვარი სახის სარგებლობის მიწად გადაქცევა შეიძლება, როგორც გამო-
ნაკლისი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართ-
ვით იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც ტყის კოდექსის 56 59 მუხლებით არის გათვალისწინებული.

შენიშვნა. ტყის მოსარგებლეებს მათ მიერ ადგილობრივი მნიშვნე-
ლობის ტყეში გაწმენდილი ტყის ნაკვეთების ნაცვლად სახელმწიფო მნიშ-
ვნელობის ტყეებიდან დამატებით გამოყოფილი ტყის ნაკვეთები არ
მიეცემათ.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მეურნეობა, ტყის კოდექსის მე-9
მუხლის თანახმად, უნდა სწარმოებდეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარია-
ტის სამიწადმოწყობო ინსტრუქციის მიხედვით, შედგენილი სათანადო გამარ-
ტივებული გეგმით; ხოლო ამ გეგმის შედგენასა და დამტკიცებამდე — მიწათ-
მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესე-
ბის თანახმად.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა, გადაცემა და მოწყ-
ობა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხარჯზე საბიუჯეტო წესით, საქართველოს
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 48 №-რის დადგენილების მე-4
მუხ. თანახმად.

5. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, ტყის კოდექსის მე-7 მუხლის
თანახმად, გადაეცემა უვადო სარგებლობად: საადგილ-მამულო საზოგადოებას,
სასოფლო-სამეურნეო კომუნას, არტელს და მშრომელ მიწის მოსარგებლეთა
ყველა სხვა შენაერთს, აგრეთვე ცალკე მიწის მოსარგებლეს, მათ და სათა-
ნადო სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების შორის დადებული ხელშეკ-
რულებით.

შენიშვნა. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილ-მამულო
განყოფილება ხელშეკრულების დადების დროს წარმოადგენს უნდა იქნეს
განსაკუთრებული კომისიის სახით მაზრის საადგილმამულო განყოფილე-
ბის წარმომადგენლისა, ტყის გამგისა და ტყის გამგის თანაშემწის შედ-
გენილობით.

6. თემისა, სოფლისა, სას.-სამ. კომუნისა, არტელისა და მშრომელი გლე-
ხობის სხვა შენაერთისათვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე,
ტყის მოსარგებლეთა მიერ სამი კაცის შედგენილობით არჩეული კომისიის გამ-
გებლობაშია — დაკვისა და მმართველობის იმ წესის საფუძველზე, რასაც დად-
გენს ტყის მოსარგებლეთა საერთო კრება; ტყეებს აგრეთვე მეთვალყურეობას
გაუწევს სოფლის ან თემის საბჭო.

ცალკე საგლეხო მეურნეობისათვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნე-

ლობის ტყის უშუალო გამგებლობა ეკუთვნის მოსარგებლეს თემის საბჭოს საერთო მეთვალყურეობით.

7. ტყის მოსარგებლენი პასუხისმგებლენი არიან მათთვის გადაცემული ტყის დაცვა-მოვლისათვის, ამ ტყის გამო დადებული ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულებისათვის და სამეურნეო წესების განხორციელებისათვის.

8. თემის საბჭო ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამგებლობას განხორციელებს სამაზრო აღმას. კომატეტის მეუკალყურეობით.

საერთო ხელმძღვანელობა ტყას მოსარგებლეთა ხელში გადაცემულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მეურნეობის ორგანიზაციისათვის და ტყეების ექსპლოატაციის საკითხების გადაწყვეტა დაეკისრება სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაციის მეშვეობით.

9. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან სამეურნეო გეგმაში ან ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წლიური რაოდენობით შემოსული მოჭრილი ტყის მერქანი გადადის ტყის მოსარგებლეთა სრულ განკარგულებაში.

კ ა რ ა II.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი.

1. მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი.

10. ერთი თვის ვადაზე დღიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ჩაბარების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა ტყის მოსარგებლენი ვალდებულ არიან მოაწყონ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამგებლობა და დააყარონ მათი მოვლა-დაცვის სათანადო ღონისძიებანი.

11. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოწყობამდე ტყის მოსარგებლენი მოვალენი არიან აწარმოონ სატყეო მეურნეობა მიწასაბჭომის მიერ გამოცემული განსაკუთრებული „წესებას“ თანახმად.

შენიშვნა. ტყის მოსარგებლენი შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ ტყის მუდმივი მცველების დაქირავებისაგან სამაზრო საადგილმამულო განყოფილების დადგენილებით, უკეთუ მათ სარგებლობაში გადაცემული ტყის სივრცე 50 დესეტინას არ აღემატება.

12. ტყის დაცვისათვის ტყის მოსარგებლენი მოვალენი არიან მიიღონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) წესიერად მოუარონ ტყის საზღვრებს, რათა ეს საზღვრები არ წაიშალოს, და განაახლონ დაკარგული სამიჯნო ნიშნები.

შენიშვნა. უკეთუ საზღვრების განახლების დროს რაიმე სიძნელე იჩენს თავს, მიწის მოსარგებლევმა უნდა მიმართონ სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას — და მიიღონ დირექტავები აღნიშნულ სიძნელეთა გადასაწყვეტად.

ბ) გააშენონ ტყე უწყესოდ გაჩეხილ ადგილებში;

გ) აწარმოონ ბრძოლა მავნე მწერებთან ტყის გამგის ხელმძღვანელობით;

დ) მიიღონ ტყის ხანძართან ბრძოლისათვის სათანადო ღონისძიება, რაც აღნიშნულია რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებისა და მაზრადმასკომების სათანადო სავალდებულო დადგენილებებში და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა განკარგულებებში;

ე) ააცილონ ტყეს საქონლის უწყესო ძოვება და სხვა სარგებლობის ასეთი ფორმები, უკეთ უ ეს ტყეს ზიანს მოუტანს;

ვ) შეაკეთონ ის გზები და ხიდეები სათემო მნიშვნელობისა, რაც ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებზე გადის.

13. ადგილობრივი პირობათა მიხედვით ტყის მოსარგებლენი მოვალენი არიან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვა ისე მოაწყონ, რომ იგი უზრუნველყოფდეს ტყეს ყოველგვარი დარღვევისაგან (ცხენოსან დარაჯთა, ტყის გეგითად წყობა მცენელთა დაქარავება, საზოგადოების წევრთა მორიგეობა და სხვ.).

14. უკეთუ ტყის მოსარგებლენი ტყის დაცვას ტყის მუდმივი მცველების შეფეობით მოაწყობენ, ეს უკანასკნელნი დამტკიცებულ იქნებიან თემადმასკომის მიერ, იმყოფებიან მის განკარგულებაში ტყის დაცვის წესების დარღვევასთან საბრძოლველად და სარგებლობენ სახელმწიფო ტყის დარაჯების ყველა უფლებით.

შენიშვნა. ტექნიკური ზედამხედველობა ტყის მუდმივ მცველებისათვის დაეკისრება სახელმწიფო სატყეო ადმინისტრაციას.

15. ტყის მოსარგებლენი მოვალენი არიან ხელოვნურად გააშენონ ტყე იმ ტიტველ ადგილებში, სადაც ტყე მოიპოო მათ მიერ თვითნებობით გაწმენდისა, ტყის ნაკვეთების სხვადასხვა სახის ნაკვეთებად ვადაქცევისა და ტყის უწყესოდ მოპირის მიზეზით, რის გამოც გაკაფული ადგილების ბუნებრივად აღდგენა შეუძლებელია. ამისათვის საპირო თესლსა და ნერგებს გასცემს ფასით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სატყეო განყოფილების ფონდიდან, ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაციის მეშვეობით.

ხოლო იმ ტიტველი ადგილების გატყიანებისათვის, რაც გადაცემულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში იქნება, აგრეთვე იმ ნაკვეთებისაც, რაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, დროებით გამოყენებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, საპირო თესლულობას და სანერგე მასალას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ტყის მოსარგებლეთ უფასოდ მისცემს.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსარგებლეთა უფლებანი.

16. ტყის მოსარგებლეთ უფლება აქვთ დაიკმაყოფილონ მერქნით მათთვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან თავიანთი სამეურნეო მოთხოვნილებანი, ხოლო ამა თუ იმ მეურნეობის გეგმით დადგენილი წლიურად მოსაპრელი ტყის ფარგალს არ უნდა გადასცილდნენ.

17. მერქნის მიღების გარდა ტყის მოსარგებლეთ უფლება აქვთ მათთვის

ის სახელმწიფო

გადაცემულ ტყეებში მოსთიბონ ბალახი, აძონ საქონელი, მოჰკრივონ სოკო, ხილეული, ამოიღონ თიხა, ქვიშა, ქვა და სხე.

18. წესს ხე-ტყის გაცემისა და ამ ხე-ტყის განაწილებისა ცალკე მოქალაქეთა შორის, მეურნეობის გეგმით დადგენილ წლიურად მოსაქრელი ტყის ფარგალში, განსაზღვრავს თემის აღმასრულებელი კომიტეტი მიწის მოსარგებლეთა საერთო კრების დადგენილების თანახმად.

შენიშვნა. უკეთუ შეტანილ იქნება განცხადება, რომ მერქნის განაწილების წესი სისწორით არ არის დადგენილი, სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას უფლება აქვს გააუქმოს ეს წესი და წინადადება მისცეს ტყის მოსარგებლეთ გადასინჯონ ხელახლად მერქნის გაცემისა და განაწილების წესი, რისთვისაც მათ მხედველობაში უნდა მიიღონ სამაზრო საადგილმამულო განყოფილების დირექტივები.

19. სასწრაფო საჭიროების გამო, მაგალითად, ხანძარისა ან სხვა სტიქიური უბედურების შემდეგ ხელახალი შენებისათვის, სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას შეუძლიან მისცეს ტყის მოსარგებლეთ უფლება მოსკრან ერთდროულად ხარჯთაღრიცხვით მოსაქრელ ტყეზე მეტი ტყე—სამ წლიურ ტყე-კაფვის ნორმამდე.

შუამდგომლობა აღიძვრის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე ადგილობრივი ტყის გამგის დასკვნისამებრ.

20. ტყის მოსარგებლეთა საერთო კრების დადგენილებით შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ აიკრძალოს განსაზღვრული ვადით მოზარდი ტყის კაფვა ან ნებადართულ იქნეს მხოლოდ ზე-ხმელი ხეების მოჭრა ღ ნაყარის გატანა. აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ მოზარდი ტყის კაფვა განახლდება ტყის მოსარგებლეთა საერთო კრების დადგენილებით და ამისათვის შესრულებულ უნდა იქნეს მეურნეობის გეგმა.

კ ა რ ი III.

ადგილობრივი მნიშვნელოვანი ტყეების მაურათობის ხელმძღვანელობისა და ამ ხელმძღვანელობის წინიარად დახმებისათვის ზედამხედველობის ბაზვის შესახებ.

1. თემალმასკომების მოვალეობანი.

21. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

- ა) ზედამხედველობა გაუწიოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს;
- ბ) ხელი შეუწყოს ტყის კომისიასა და ცალკე ტყის მოსარგებლეთ ხანძარისა და თვითნებობით გაკაფვისაგან ტყის დაცვისა და ტყის თვითნებობით მკრელთა არსებული წესისამებრ აღმოჩენის საქმეში;
- გ) გადასწვიტოს დავა ტყის მოსარგებლეთა შორის;
- დ) გადაახდევინოს ჯარიმა თვითნებობით ტყის მომკრელ პირთ სისხლის სამართლის კოდექსის 172 მუხლის თანახმად;

ე) შეინახოს ხელშეკრულებანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის შესახებ და ტყეთა მოწყობის გეგმანი;

ვ) აწარმოოს მიწერმოწერა და ანგარიშგება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების თაობაზე;

ზ) დააპტკიცოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მცველები;

თ) შეინახოს ყველა ის ფულადი თანხა, რაც-კი შეიძლება შეუვიდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს, ხარჯოს ეს თანხები სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის ტყის მოსარგებლეთა დადგენილებისამებრ.

22. ყველა აღნიშნულ ღონისძიებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებისათვის სათემო აღმასრულებელი კომიტეტი განახორციელებს ტყის მოსარგებლეთა საერთო კრების დადგენილებათა საფუძველზე. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი ხანგამოშვებით მიაწვდის ტყის მოსარგებლეთ ინფორმაციას მათთვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მდგომარეობის შესახებ.

23. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის შესახებ დადებულ ხელშეკრულებათა აღსრულებისა, სატყეო მეურნეობის წარმოებისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ამ ტყეების შესახებ გამოცემული ყველა წესებისა და განკარგულების აღსრულებისათვის.

2. სამაზრო საადგილმამულო განყოფილებათა მოვალეობანი.

24. სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას დაეკისრება:

ა) საერთო მეეთაღყურება გაუწიოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა პირობების აღსრულებას და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამგებლობისა, სარგებლობისა და დაცვისათვის დადგენილი შინაგანი განრიგების წესების სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ აღსრულებას;

ბ) გადასწყვიტოს დავა ტყის მოსარგებლეთა შორის მეორე ინსტანციის სახით;

გ) გააუქმოს მერქნის განაწილების წესი, უკეთუ ამის შესახებ ტყის მოსარგებლეთა მიერ შეტანილ იქნება საფუძვლიანი საჩივარი;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სატყეო საქმის ტენიკას;

ე) განიხილოს შუამდგომლობანი ტყის გაწმენდის შესახებ და ეს შუამდგომლობანი, თავისი დასკვნითურთ, დასამტკიცებლად წარუდგინოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს;

ვ) განიხილოს და წარადგინოს დასამტკიცებლად ის საკითხები, რაც გვემიანი მეურნეობის წარმატებას ეხება;

ზ) ხელი შეუწყოს ტყის მოსარგებლეთ თესლისა და ნერგების შექმნის საქმეში;

თ) აღძრას შუამდგომლობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წი-

ნაშე არა კეთილსინდისიერ მოსარგებლეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ სატყეო მეურნეობის უწესოდ წარმოებისათვის;

ო) მოაწყოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან გაცემული მერქნის აღნუსხვა;

კ) განიხილოს ტყის გადაცემის ხელშეკრულებანი და აქტები, მისცეს დასკვნა ამ ხელშეკრულებათა და აქტთა შესახებ და განიხილოს სათემო აღმასრულებელი კომიტეტების პერიოდული მოხსენებანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების მოვალეობანი.

25. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მიმართ შეასრულებს შემდეგ მოვალეობას:

ა) დაამტკიცებს ტყის მოსარგებლებთან დადებულ ხელშეკრულებას ტყის ნაკვეთების გადაცემის შესახებ, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ წინასწარი განხილვის შემდეგ;

ბ) შეადგენს სატაქსაციო პარტიებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოსაწყობად;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოწყობას და დაამტკიცებს ამ მოწყობის დროს შედგენილ სამეურნეო გეგმებს;

დ) განიხილავს და დაამტკიცებს არსებული წესისამებრ ყველა საკითხს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გაწმენდისა და სხვაგვარი სახის ნაკვეთებად გადაქცევის შესახებ;

ე) განიხილავს და დაამტკიცებს გეგმის (ხარჯთაღრიცხვის) გარეშე ხე-ტყის გაცემას;

ვ) სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცემს ტყის მოსარგებლებს მეურნეობის უწესოდ წარმოებისათვის;

გ) გამოიტანს დადგენილებას ტყის მოსარგებლებთან დადებული ხელშეკრულებების მოწლისა და მათთვის ტყის ჩამორთმევის შესახებ, უკეთუ ტყის მოსარგებლენი მეურნეობას მტაცებლურად აწარმოებენ და ტყის სარგებლობის წესებს სისტემატიურად არღვევენ.

4. ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა .

26. სატყეო მეურნეობის აღნუსხვისათვის თემის საბჭოები აწარმოებენ სატყეო რეგულს, რაც სამ კარად განიყოფება:

ა) კარი ტყის წესების დარღვევის ჩასაწერად; ამ კარში აღინიშნება ყოველი შემთხვევა ტყის წესების დარღვევისა, ამ დარღვევის რაოდენობა, მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი, ზარალის გადახდევინების საქმის წარმართვა და გადაწყვეტა; აქვე აღინუსხება კონფისკაციაქმნილი ხე-ტყე;

ბ) კარი ტყის გაცე მის ჩასაწერად;

გ) კარი სარევიზიო შენიშვნებისა, სადაც აღინიშნება ტყის დათვალიერე-

ბის დროს შენიშნული ნაკლულოვანებანი და ნაჩვენები იქნება მომავალში შეურნეობის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

წლის ბოლოს თემის საბჭოები წარუდგენენ სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მეურნეობის წარმოების შედეგების მოკლე ანგარიშს, სადაც აღნიშნული იქნება წლის განმავლობაში გაცემული და მომავალი წლისათვის საჭირო მერქნის საერთო რაოდენობა.

კ ა რ ი IV.

ტყის წესების დამრღვევთა დევნა და პასუხისმგებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მესაძროხის წარმოების წესების შეუსრულებლობისათვის.

ა. ტყის წესების დარღვევათა დევნის წესი.

27. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში ტყის წესების ყოველგვარ დარღვევაზე ტყის მცველი, ხოლო თუ იგი არ არის, სოფლის მილიცია შეადგენს სათანადო ფორმის განსაკუთრებულ ოქმს. შედგენილი ოქმი დაუყოვნებლივ გაეგზავნება თემის საბჭოს ზარალის გამოანგარიშებისა და შემდგომი წარმართვისათვის.

28. ტყის წესების დამრღვევთა მიერ გადახდილი ფული შეჭანილ უნდა იქნეს თემის საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე და იხარჯებოდეს უკანასკნელის მიერ სატყეო მეურნეობის გაუმჯობესებისა, ტყის მცველთათვის გასამრჯელოს მიცემისა და ზეძიანნიშნული ზარალის ანაზღაურებისათვის.

29. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში თვითნებობით ტყის მოჭრა და ხე-ტყის დამზადება ან ხე-ტყის მასალის გატაცება, უკეთეს ღირებულება უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული და დაზიანებული ტყისა ან ხე-ტყის მასალისა ადგილობრივი ნიხრით ხუთმეტ მანეთს არ აღემატება, დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით სათანადო სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლში გათვალისწინებული შედეგით.

ტყის წესების ოგივე დარღვევანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, უკეთეს ღირებულება უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული ან დაზიანებული ტყისა და ხე-ტყის მასალისა ადგილობრივი ნიხრით ხუთმეტ მანეთს აღემატება, აგრეთვე, უკეთეს ხე-ტყის მასალის გატაცება ჩადენილია ხელობის სახით, დევნილ უნდა იქნეს სასამართლო წესით სათანადო სარაიონო სახალხო სასამართლოს მეშვეობით, სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლში გათვალისწინებული შედეგით.

ბ. პასუხისმგებლობა მეურნეობის წარმოების წესების შეუსრულებლობისათვის.

30. თვითნებობით ტყის არეების გაწმენდისა და ტყის წესების სხვაგვარი დარღვევისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 102¹ მუხლით, დამნაშავე პასუხს აგებს ამ კანონის თანახმად.

31. უკეთუ ტყის მოსარგებლენი განიმეორებენ ტყის წესების დარღვევას, რაც ზემოდ არის აღნიშნული (მუხ. 30), აგრეთვე უკეთუ ისინი არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და არ გაატყიანებენ იმ ტრეტველ ადგილებს, რაც მათ მიერ თვითნებობით ტყის გაწმენდისა ან ტყის უწესოდ მოჭრის გამო გაჩნდა (მუხ. 15), მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება და ჩამოართვას ტყის მოსარგებლეთ მათთვის გადაცემული ტყეები.

177. დადგენილება ს. კ. ს.

ვინაობის მოწმობის შესახებ.

ვინაობის მოწმობის გაცემისა და მიღების წესის გამარტივებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ვინაობის წიგნაკების შემოღების შესახებ“ 1923 წ. მარტის 10-ს თარიღითა და 83 №-რით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები ვინაობის მოწმობის შესახებ და ამ მოწმობის გაცემისათვის:

1. სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს, სახლის სამოურაოს და სხვ. აეკრძალება, კანონში გათვალისწინებულ შემთხვევებს გარდა, მოსთხოვოს საქართველოს სსრ-ში მოსულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეთ, რომ აუცილებლად წარადგინონ მათი ვინაობის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა (საპირადო წიგნაკი, 13 მუხ.).

2. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქემ უნდა გამოარკვიოს მმართველობის ორგანოს წინაშე თავისი პიროვნება, საკმარისია წარადგინოს თავისი ვინაობის ისეთი წერილობითი მოწმობა (საპირადო წიგნაკი), რაც ფორმით და შინაარსით ამა დადგენილების მე-13 მუხლს შეესაბამება, ან ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ა) დაბადების ან ქორწინების სააქტო ამონაწერი (ან ძველი მეტრიკა);

ბ) სახლის სამოურაოს ან სოფლის საბჭოს ცნობა ბინადრობის შესახებ (საბინაო დავთრის ან საკომლო სიის ამონაწერი);

გ) სამუშაო ან სამსახურის ადგილის მოწმობა (ან საანგარიშო წიგნაკი);

დ) ისეთი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია სამხედრო-ვალდებულთა დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი, გარდა იმ პირებისა, ვინც ამა დადგენილების მე-7 მუხლშია ჩამოთვლილი;

ე) პროფკავშირის საწევრო ბილეთი;

ვ) სასწავლებელში მოწაფედ ყოფნის ან კურსის დამთავრების დოკუმენტი და

ზ) ვინაობის უეადო წიგნაკი, რაც გაცემულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 83 №-რის დადგენილების თანახმად.

შენიშვნა 1. „ბ“ პუნქტში აღნიშნული ცნობა ვინაობის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, უკეთეს ამ ცნობაში დასახელებული იქნება ის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოქალაქე ჩაწერილია.

შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ცნობას განმცხადებლის გვარისა, სახელისა და მამის სახელის შესახებ.

შენიშვნა 3. სამხედროვალდებულისათვის ვინაობის მოწმობა ვერ გასწევს იმ სააღრიცხვო-სამხედრო დოკუმენტის მაგიერობას, რაც კანონით საჭიროა სამხედროვალდებულისათვის.

3. ვინაობის მოწმობა (საპირადო წიგნაკი) მოქალაქეს მიეცემა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული მოწმობის გაცემა ეკისრება მილიციის ადგილობრივ ორგანოს, მხოლოდ იქ, სადაც იგი არ არის—თემის აღმასრულებელ კომიტეტსა და სოფლის საბჭოს.

4. ვინაობის მოწმობის (საპირადო წიგნაკის) მიღების უფლება აქვს სსრკ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, იმ პირთა გარდა, ვინც მე-5 მუხლშია აღნიშნული; ამასთანავე არ შეიძლება მოქალაქის იძულებულყოფა ვინაობის მოწმობის მისაღებად. ხოლო ის დაწესებულება, რომელიც ასეთ მოწმობას იძლევა, ვალდებულია მიიღოს ღონისძიება, რათა ვინაობის მოწმობა იმ მოქალაქეს, ვინც ამ მოწმობის მიღებას მოისურვებს, დაუყოვნებლივ მიეცეს.

5. არასრულწლოვანი—16 წლამდე—აღნიშნება იმ პირის ვინაობის მოწმობაში ან იმ დაწესებულების სიაში, რომელიც ამ არასრულწლოვანს ინახავს.

6. მე-5 მუხლის საერთო წესის გამოწაკისად არასრულწლოვანს, 12-დან 16 წლამდე, შეიძლება მიეცეს ცალკე მოწმობა შემდეგ შემთხვევაში:

ა) მშობელთა ან მათ მონაცვლე პირთა თხოვნით;

ბ) თვით არასრულწლოვანის თხოვნით, უკეთეს მას არა ჰყავს მშობლები ან მათი მონაცვლე პირი.

7. კავკასიის წეთელდროშიან არმიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურისათვის ვინაობის მოწმობად ჩაითვლება წითელარმიელის (წითელფლოტელის) სამსახურის წიგნაკი ან სათანადო სამხედრო დოკუმენტი, რომელშიაც აღნიშნულია დამოკიდებულება სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი და როგორც მიეცემა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ საშუალო, უფროს და უმაღლეს უფროსთა შედგენილობის პირთ.

8. სსრკ სავაჭრო ფლოტის მებრძოლთათვის ვინაობის მოწმობად ჩაითვლება დაწესებული ფორმის სამეზღვაურო წიგნაკი.

9. იმ არასრულწლოვანისათვის, რომელსაც 16 წელი უკვე შეუსრულდა, ვინაობის მოწმობის მისაღებად მშობელთა ან მზრუნველთა თანხმობა საჭირო არ არის.

10. იმ პირს, ვინც დადგენილი წესით სულით-ავადმყოფად იქნება ცნობილი, ვინაობის მოწმობის მიღება შეუძლიან მხოლოდ იმ პირის ან დაწესებულების თხოვნით, რომლის მზრუნველობაზედაც იგი იმყოფება.

შენიშვნა. იმ პირს, რომლის მზრუნველობაზედაც სულით-ავადმყოფი იმყოფება, უფლება აქვს მოსთხოოს თავის ვინაობის მოწმობაში ავადმყოფისა და მის შესახებ ცნობების შეტანა.



11. მე-3 მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი ვალდებულ არიან მისცენ ვინაობის მოწმობა მოქალაქეს მისი განცხადების თანახმად, იმ პირობით კი, უკეთეს განმცხადებლის ვინაობა დადასტურებულ იქნება მე-2 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დოკუმენტით.

12. ვინაობის მოწმობის (საპირადო წიგნაკის) მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მე-2 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დოკუმენტი.

შენიშვნა. ცნობა ბინადრობისა და მოწმობა სამუშაო ან სამსახურის ადგილისა და სასწავლებელში მოწაფედ ყოფნის შესახებ დარჩება იმ ორგანოს საქმეში, რომელიც განაგებს ვინაობის მოწმობის გაცემას; ყველა დანარჩენი ზემოთჩამოვლილი დოკუმენტი კი დაებრუნება პატრონს. უკეთეს საქმის გარემოება საპიროგებს საქმეში იმ დოკუმენტის ასლის დატოვებას, რომლის დედნის დატოვება არ შეიძლება, ვინაობის მოწმობის გამცემი დაწესებულება გადაიღებს ასლს, შეამოწმებს და დასტოვებს საქმეში.

13. ვინაობის მოწმობისათვის (საპირადო წიგნაკისათვის) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მთლად საქართველოს სსრ-ში დაწესებულია ერთნაირი ფორმა, რომელიც შეიცავს შემდეგ გრაფებს:

- ა) მოწმობის მიმღების გვარი, სახელი და მამის სახელი;
- ბ) დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;
- გ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;
- დ) ხელობა (ძირითადი პროფესია);
- ე) დამოკიდებულება სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი;
- ვ) ოჯახური წდგომარეობა;
- ზ) სია იმ მცირეწლოვანთა — 16 წლამდე — რომელნიც, მე-5 მუხლის

თანახმად, შეტანილ არიან მოწმობაში;

თ) ის დოკუმენტი რომლის მიხედვითაც მოწმობაა გაცემული;

ი) მოწმობის გამცემი დაწესებულება;

კ) მოწმობის მიღების პირადი ხელმოწერა;

ლ) ადგილი და დრო მოწმობის გაცემისა, პასუხისმგებელ პირის ხემოწმონაწერი და მოწმობის გამცემ ორგანოს ბეჭედი.

შენიშვნა. მოწმობის ბიძგების სურვილით ვინაობის მოწმობას შეიძლება დაეწეოს მისი სათანადოდ შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

14. მოწმობის გრაფები „დ“, „ე“ და „ზ“ შეივსება სათანადო დოკუმენტების მიხედვით. უკეთეს ასეთი დოკუმენტები ხელთ არ იქნება, მოწმობის გაცემა შეჩერებულ არ უნდა იქნეს, ხოლო შესაფერ გრაფებში აღინიშნება „შეუსესებელია“.

დანარჩენი გრაფები შეივსება ვინაობის მოწმობის მიმღები პირის სიტყვიერი განცხადების მიხედვით. უკეთეს გრაფა „ვ“ შეივსება სიტყვიერი განცხადების მიხედვით, ეს გარემოება ამ გრაფაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს.

გრაფაში „ოჯახური მდგომარეობა“ იმ პირისა, რომელიც მეურვეობაშია მიცემული, შეიტანება სათანადო აღნიშვნა.

15. იმ გრაფაში, სადაც არასრულწლოვანთა სია და ის პირებია აღნიშნული, რომელნიც შეტანილ არიან ვინაობის მოწმობაში (მე-10 მუხ. შენიშვნა) აღინიშნება:

ა) არასრულწლოვანის ან სულით-ავადმყოფის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) მისი წლოვანება და

გ) ნათესაური ან სხვა რამ დამოკიდებულება მოწმობის მიმღებისადმი.

16. მოწმობის მიმღები პირადად მოაწერს ხელს მოწმობას მიღების დროს ამ მოწმობის გამცემ ორგანოს წარმომადგენლის თანადასწრებით; უკეთეს მოწმობის მიმღებმა წერა-კითხვა არ იცის, ეს გარემოება სათანადოდ აღინიშნება მოწმობის გაცემის დროს.

17. ვინაობის მოწმობის გაცემის დროს მოწმობის მიმღებს უნდა გადაჰხდეს თანხა არა უმეტეს მოწმობის ბლანკის თვითღირებულებისა.

18. ვინაობის მოწმობა გაიცემა მისი მოქმედების ვადის შეუზღუდველად.

19. უკეთეს ვინაობის მოწმობა დაიკარგა, მისი განახლება შეიძლება მე-12 მუხ. თანახმად ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომსარტა საბჭოს მიერ „დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების შესახებ“ გამოცემული დადგენილებით (ა/კ სფსრ კან. კრებ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 635) განსაზღვრული წესისამებრ.

20. უკეთეს ვინაობის მოწმობა გაცემა ან როგორმე დაზიანდა, იგი შეიძლება შეიცვალოს ახალი მოწმობით, ხოლო ამისთვის საჭიროა შესაცვლელი მოწმობის წარდგენა.

21. უკეთეს მოწმობის მიმღებ მოქალაქეს არ შეუძლიან მოწმობის მისაღებად წარადგინოს მე-2 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დოკუმენტი, მილიცია მისცემს მას დროებით, მოწმობის მავიერ, წერილობითი ცნობას იმ ვადით, რაც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტის მისაღებად, ხოლო არა უმეტეს 3 თვისა. პატივსაღები მიზეზის გამო შეიძლება ამ ვადის განგრძობა კიდევ 3 თვით.

22. უკეთეს მოქალაქეს არ შეუძლიან მიიღოს ერთ-ერთი ის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მას უნდა მიეცეს ვინაობის მოწმობა, ეს ვინაობის მოწმობა მას მიეცემა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილებიდან, ხოლო იქ — სადაც იგი არ არსებობს, — სამაზრო მილიციის სამმართველოდან, რომელიც ამასთანავე მოვალეა მიიღოს ყოველი ღონისძიება განმცხადებლის გვარისა, მამის სახელისა, დაბადების დროისა და ოჯახური მდგომარეობის გამოსარკვევად.

23. ამა თუ იმ პირის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ვინაობის მოწმობას სახლის სამიურაო წარუდგენს მილიციას იმ ადგილის მიხედვით სადაც უკანასკნელად სცხოვრობდა გარდაცვალებული; მილიცია აღნიშნავს ამ მოწმობაში მოწმობის პატრონის გარდაცვალებას და გადაუგზავნის მას მმართველობის ორგანოს, რომელმაც ეს მოწმობა გასცა.

24. ვინაობის მოწმობის წარდგენა ან ყალბი ბლანკისა და თვით ვინაობის მოწმობის დამზადება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხ საბჭოს, სათანადო მუხლების მიხედვით.

25. ვინაობის მოწმობის წარდგენის სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

26. ვინაობის მოწმობის წარდგენის სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1927 წ. დეკემბრის 29.

ტფილისი—სასახლე.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა

